სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/313

ქ. თბილისი

8 ნოემბერი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის

დებულებაში ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის **საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით მიღებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების მე-3 დანართში (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი). გაუქმდეს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მე-15 ქვეპუნქტი, ხოლო მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მე-5 და მე-6 ქვეპუნქტები და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მე-8 და მე-14 ქვეპუნქტები იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

2.3.5. პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70 ქულა) შეფასებებით. პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტს ჩაეთვლება, თუ დასკვნითი შეფასების შემდეგ დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებაში მინიმალური 15 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას; დასკვნით გამოცდაზე მისაღები მინიმალური დადებითი შეფასება კი შეადგენს 36 ქულას

2.3.6. შუალედურ შეფასებას ახორციელებს ხელმძღვანელი, დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, 3 კომპონენტის მიხედვით (დანართი 2); შუალედური შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S=2 x M, სადაც M არის სამივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. დასკვნითი შეფასების მიზნით დოქტორანტი აკეთებს პრეზენტაციას სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ირგვლივ აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი 5 კაციანი კომისიის წინაშე, რომელშიც შედის დოქტორანტის ხელმძღვანელიც. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია დანართ 3-ში. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S=4,66 x M, სადაც M არის სამივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა

2.4.8. დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, შუალედური (30 ქულა) და დასკვნითი (70 ქულა) შეფასებებით. სემინარის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად დოქტორანტი სემესტრის მე-9 კვირაში, შუალედური შეფასების მიზნით, სასემინარო ნაშრომს წარუდგენს ხელმძღვანელს, რომელიც 4 კომპონენტის მიხედვით ახორციელებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებას (დანართი 4). ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით, მინიმალური დადებითი შეფასებაა 15 ქულა. შუალედური შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S=1.5 x M, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

2.4.14. სასემინარო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას კომისიის თითოეული წევრი ახდენს 4 კომპონენტის მიხედვით, მაქსიმუმ 70 ქულით (დანართი 5). დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა შემფასებელთა რაოდენობაზე). შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S=3.5 x M, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე